

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოსაზრება	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი	3
სხვა ინფორმაცია	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში.....	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ.....	5
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
ძირითადი საქმიანობა	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	10
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	12
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
მოგების გადასახადი	13
ძირითადი საშუალებები	13
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
საწესდებო კაპიტალი	14
დივიდენდები	14
შემოსავლის აღიარება	14
პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.....	15
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	18
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
ბალანსის შემდგომი მოვლენები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი“-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ასხნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების აბზაცში წარდგენილი ინფორმაციის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2025 წლის 30 ივნისს და ამდენად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების და ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2024 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით ფლობილი მარაგების და ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების და ძირითადი საშუალებების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს განცალკევებულად ან აგრეგირებულად. ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექნდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვკავდება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვკავდება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

8 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

8 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი სწავლის საფასურიდან	3	20 870 319	18 225 634
შრომის ანაზღაურება		(10 620 088)	(10 362 176)
პროფესიული მომსახურების ხარჯები		(8 284 555)	(3 926 546)
მარკეტინგის ხარჯი		(388 584)	(136 517)
ცვთა და ამორტიზაცია		(523 478)	(750 557)
იჯარის ხარჯი		(789 641)	(1 623 378)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(314 956)	(339 958)
ადმინისტრაციული ხარჯი	4	(1 002 192)	(920 616)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	646 837	509 476
სხვა საოპერაციო ხარჯი		(30 149)	(99 229)
საოპერაციო მოგება		(436 486)	576 135
ფინანსური შემოსავალი		464 463	-
ფინანსური ხარჯი		-	(403 246)
მოგება დაბეგვრამდე		27 977	172 889
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		27 977	172 889
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		27 977	172 889

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი - რობერტ-მაიკლ ქაუგილი

სპარტაკ თევდორაშვილი

მპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი სწავლის საფასურიდან	3	20 870 319	18 225 634
შრომის ანაზღაურება		(10 620 088)	(10 362 176)
პროფესიული მომსახურების ხარჯები		(8 284 555)	(3 926 546)
მარკეტინგის ხარჯი		(388 584)	(136 517)
ცვეთა და ამორტიზაცია		(523 478)	(750 557)
იჯარის ხარჯი		(789 641)	(1 623 378)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(314 956)	(339 958)
ადმინისტრაციული ხარჯი	4	(1 002 192)	(920 616)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	646 837	509 476
სხვა საოპერაციო ხარჯი		(30 149)	(99 229)
საოპერაციო მოგება		(436 486)	576 135
ფინანსური შემოსავალი		464 463	-
ფინანსური ხარჯი		-	(403 246)
მოგება დაბეგვრამდე		27 977	172 889
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		27 977	172 889
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		27 977	172 889

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


გენერალური დირექტორი - რობერტ-მაიკლ ჯაუგილი




სპარტაკ თევდორაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	3 998 911	4 359 798
არამატერიალური აქტივები		982	972
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	7	3 994 101	3 176 691
სულ გრძელვადიან აქტივები		7 993 995	7 537 461
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		31 099	69 450
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	542 297	492 284
სავაჭრო მოთხოვნები	9	1 272 985	1 572 751
ფული და ფულის ექვივალენტები	10	7 668 126	4 209 685
სულ მიმდინარე აქტივები		9 514 506	6 344 170
სულ აქტივები		17 508 501	13 881 631
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		89 566	89 566
გაუნაწილებელი მოგება		12 528 157	12 815 970
არამაკონტროლებელი წილი		(36)	(36)
სულ კაპიტალი		12 617 687	12 905 500
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4 890 814	976 131
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 890 814	976 131
სულ ვალდებულებები		4 890 814	976 131
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17 508 501	13 881 631

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი - რობერტ-მაიკლ ქაუგილი

სპარტაკ თევდორაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	3 998 911	4 359 798
არამატერიალური აქტივები		982	972
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	7	3 994 101	3 176 691
სულ გრძელვადიან აქტივები		7 993 995	7 537 461
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		31 099	69 450
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	542 297	492 284
სავაჭრო მოთხოვნები	9	1 272 985	1 572 751
ფული და ფულის ექვივალენტები	10	7 668 126	4 209 685
სულ მიმდინარე აქტივები		9 514 506	6 344 170
სულ აქტივები		17 508 501	13 881 631
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		89 566	89 566
გაუნაწილებელი მოგება		12 528 157	12 815 970
არამაკონტროლებელი წილი		(36)	(36)
სულ კაპიტალი		12 617 687	12 905 500
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4 890 814	976 131
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 890 814	976 131
სულ ვალდებულებები		4 890 814	976 131
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17 508 501	13 881 631

* 2024 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


გენერალური დირექტორი - რობერტ-მაიკელ ჟუგანიძე




სპარტაკ თევდორაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	89 566	13 064 132	(36)	13 153 662
წმინდა მოგება	-	172 889		172 889
გადახდილი დივიდენდი	-	(421 053)		(421 053)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	89 566	12 815 968	(36)	12 905 498
წმინდა მოგება	-	27 977	-	27 977
გადახდილი დივიდენდი	-	(315 789)	-	(315 789)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	89 566	12 528 156	(36)	12 617 686

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი - რობერტ-მაიკლ ჯაუგილი

სპარტაკ თევდორაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
 კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	89 566	13 064 132	(36)	13 153 662
წმინდა მოგება	-	172 889		172 889
გადახდილი დივიდენდი	-	(421 053)		(421 053)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	89 566	12 815 968	(36)	12 905 498
წმინდა მოგება	-	27 977	-	27 977
გადახდილი დივიდენდი	-	(315 789)	-	(315 789)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	89 566	12 528 156	(36)	12 617 686

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან
 დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:


 გენერალური დირექტორი - რობერტ-შაიკო ქაუჩილი




 სპარტაკ თევდორაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ		27,977	172,889
კორექტირება:			
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	517,282	744,306
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი		6,196	6,252
საპროცენტო შემოსავალი	12	(7,705)	-
საექვო მოთხოვნების ანარიცხები		-	93,195
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		(444,071)	403,246
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		99,679	1,419,887
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		441,592	(679,509)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(50,013)	(7,639)
ცვლილებები გადასახადებში		38,352	(41,730)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,916,075	(1,149,080)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		4,445,684	(458,071)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	6	(156,396)	(219,116)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,206)	(6,144)
სესხის გაცემა	12	(814,959)	(57,379)
გაცემული სესხის დაფარვა		-	57,379
წილის შესყიდვა	12	825,078	695,889
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	7	(817,410)	(3,166,677)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(969,893)	(2,696,048)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(315,789)	(421,053)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(315,789)	(421,053)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		298,439	(261,033)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		3,458,441	(3,836,204)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		4,209,685	8,045,889
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		7,668,126	4,209,685

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი - რობერტ-მაიკლ ქაუგილი

სპარტაკ თევდორაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ		27,977	172,889
კორექტირება:			
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	6	517,282	744,306
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი		6,196	6,252
საპროცენტო შემოსავალი	12	(7,705)	-
საექვო მოთხოვნების ანარიცხები		-	93,195
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		(444,071)	403,246
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		99,679	1,419,887
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		441,592	(679,509)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(50,013)	(7,639)
ცვლილებები გადასახადებში		38,352	(41,730)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,916,075	(1,149,080)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		4,445,684	(458,071)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(156,396)	(219,116)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,206)	(6,144)
სესხის გაცემა	12	(814,959)	(57,379)
გაცემული სესხის დაფარვა		-	57,379
წილის შესყიდვა	12	825,078	695,889
ინვესტიცია შეკავშირე საწარმოში	7	(817,410)	(3,166,677)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(969,893)	(2,696,048)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(315,789)	(421,053)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(315,789)	(421,053)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		298,439	(261,033)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		3,458,441	(3,836,204)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		4,209,685	8,045,889
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		7,668,126	4,209,685

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 8 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი - რობერტ-მაიკლ ჯაუგილი

სპარტაკ თევდორაშვილი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი დაფუძნდა 2005 წლის იანვარში, თბილისი, საქართველო. მარეგისტრირებული ორგანო არის ისანი-სამგორის სასამართლო. რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ.ალექსიძის ქ., N10 ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის რომ უზრუნველყონ აკადემიური მიღწევები და ეთიკურად ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემო სტუდენტებისთვის, რათა მიიღონ უმაღლესი განათლება შესაბამის დარგებში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრეების სტრუქტურა არის შემდეგნაირი:

მესაკუთრე	წილის მმართველი
რობერტ-მაიკლ ქაუგილი, საქართველო, 01008045616 /აშშ/	32.80%
თამარ ციციშვილი-ქაუგილი, 01017008451	21.00%
ნინო ტორონჯაძე, 01006004088	12.90%
რუსუდან ციციშვილი, 01017009867	9.00%
ქენეთ ენდრიუ ქათშო, 529190109 /აშშ/	9.00%
ანა შუბლაძე, 01024005364	5.10%
თეიმურაზ ტორონჯაძე, 01026001039	5.10%
ლია მუხაშაური, 01022002946	2.50%
ზაზა რუხაძე, 37001002995	1.30%
ხათუნა ჭანუყვაძე, 01007006576	1.30%

კომპანიის გენერალური დირექტორი ბატონი რობერტ-მაიკლ ქაუგილი.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს ჯგუფის მშობელი კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას შპს გაუმარჯო-ს 2024 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის 2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასაც.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ჯგუფის და კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფს არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახდავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“ და მისი შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმძღვანელო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან. ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტიორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტიორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრება შესაბამეა შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

		31.12.2024		
დასახელება	საქმიანობა	ფლობილი ინვესტიცია	რეგისტრაციის ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი
შპს "გაუ წიგნები"	მომსახურება	20%	საქართველო	14.08.2006
შპს "ქართულ-ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტი"	მომსახურება	10%	საქართველო	29.07.2019
American University Kyiv (43634285)	მომსახურება	5.41%	უკრაინა	
AUZ LLC	მომსახურება	7.50%		

		31.12.2023		
დასახელება	საქმიანობა	ფლობილი ინვესტიცია	რეგისტრაციის ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი
შპს "გაუ წიგნები"	მომსახურება	20%	საქართველო	14.08.2006
შპს "ქართულ-ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტი"	მომსახურება	10%	საქართველო	29.07.2019
American University Kyiv (43634285)	მომსახურება	5.41%	უკრაინა	

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ჯგუფის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ და ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. ანგარიშგებაში არსებული მოთხოვნები ძირითადად მოიცავს სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილ მოთხოვნებს. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოდებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდის ცვთის ხარჯი

მიწას ცვთა არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვალებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

• შენობა-ნაგებობა	20 წელი
• ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
• კომპიუტერული ტექნიკა	4 -7 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	4 -7 წელი
• სხვა ძირითადი საშუალებები	4 -7 წელი

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

მიღებული ავანსები წარმოიშობა მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარ გადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს მოსწავლეებისგან მიღებულ ავანსებს.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების გენერირება ხდება სწავლის საფასურიდან, რომელთა აღიარება ხორციელდება ხელშეკრულებისა და მისი შესაბამისი გადახდის გრაფიკის საფუძველზე. შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც ჯგუფმა და კომპანიამ გასცა ან გასწია.

ჯგუფის პერიოდის შემოსავლები მოიცავს სტუდენტებისათვის გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილ შემოსავლებს.

მოსწავლეებზე სასწავლო კურსების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება განაწილებულია აკადემიური მონაკვეთის მიხედვით. შემოსავალი აღიარებულია ამ აკადემიური მონაკვეთების შესაბამისად. მოკლევადიანი კურსებისთვის, შემოსავალი აღიარდება კურსის ხანგრძლივობის პერიოდში.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ჯგუფს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შენიშვნა 3 - შემოსავალი სწავლის საფასურიდან

	2024	2023
შემოსავალი სწავლის საფასურიდან	20 905 368	18 280 775
ფასდაკლება	(35 049)	(55 142)
სულ შემოსავალი სწავლის საფასურიდან	20 870 319	18 225 634

შენიშვნა 4 - ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
წარმომადგენლობითი ხარჯები	279 773	233 113
მივლინების ხარჯები	189 438	211 515
საპენსიო ხარჯები	155 641	146 923
რემონტის და დაცვის ხარჯები	67 157	123 394
საოფისე ინვენტარის ხარჯები	61 578	88 617
საგადასახადო ხარჯები	29 611	33 716
დაზღვევის ხარჯები	17 207	16 631
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	17 000	17 000
საქველმოქმედო ხარჯები	1 495	495
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	183 292	49 211
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1 002 192	920 616

შენიშვნა 5 - სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი რეგისტრაციიდან	160 682	63 692
შემოსავალი გამოცდიდან	18 300	-
შემოსავალი წიგნების რეალიზაციიდან	54	149
შემოსავალი იჯარიდან	32 716	48 339
სხვა საოპერაციო შემოსავალი	435 085	397 295
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	646 837	509 476

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობი	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება	1 466 616	5 088 726	81 070	802 851	165 000	851 406	8 455 668
აკუმულირებული ცვეთა	-	(2 661 029)	(71 214)	(554 881)	(12 031)	(271 526)	(3 570 681)
ბალანსი 31/12/2022	1 466 616	2 427 696	9 856	247 970	152 968.75	579 880	4 884 987
დანამატები	-	-	6 554	149 693	-	62 868	219 116
ცვეთა პერიოდისათვის	-	(254 436)	(4 210)	(103 129)	(20 625)	(361 906)	(744 306)
ბალანსი 31/12/2023	1 466 616	2 173 260	12 201	294 534	132 344	280 842	4 359 798
დანამატები	-	-	34 085	94 773	-	27 538	156 396
ცვეთა პერიოდისათვის	-	(254 436)	(8 640)	(113 813)	(20 625)	(119 767)	(517 282)
ბალანსი 31/12/2024	1 466 616	1 918 824	37 646	275 493	111 719	188 614	3 998 911
ბალანსი 31/12/2023	1 466 616	2 173 260	12 201	294 534	132 344	280 842	4 359 798
ბალანსი 31/12/2024	1 466 616	1 918 824	37 646	275 493	111 719	188 614	3 998 911

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

დასახელება	31.12.2024		31.12.2023	
	საბალანსო ღირებულება	ფლობილი ინვესტიცია	საბალანსო ღირებულება	ფლობილი ინვესტიცია
შპს "გაუ წიგნები"	3 991	20%	3 991	20%
შპს "ქართულ-ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტი"	2 500 000	10%	2 500 000	10%
American University Kyiv (43634285)	672 700	5.41%	672 700	5.41%
AUZ LLC	817 410	7.50%	-	-
სულ მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში	3 994 101		3 176 691	

შენიშვნა 8 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
წიგნები	497 042	466 394
საოფისე მასალები	1 530	25 625
სხვა მასალები	43 725	265
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	542 297	492 284

შენიშვნა 9 - სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	891 503	1 066 780
მოთხოვნები სტატუს შეჩერებული სტუდენტებიდან	238 559	195 341
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	322 006	459 565
დებიტორული დავალიანების რეზერვი	(179 084)	(148 934)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1 272 985	1 572 751

რეზერვების მოძრაობა საანგარიშო პერიოდების მიხედვით იყო შემდეგი:

	2024	2023
1 იანვარი	(148 934)	(55 739)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(30 149)	(93 195)
31 დეკემბერი	(179 083)	(148 934)

შენიშვნა 10 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	260 477	325 230
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	7 407 649	3 884 456
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	7 668 126	4 209 685

შენიშვნა 11 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3 674 856	46 661
მიღებული ავანსები	1 215 958	929 470
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 890 814	976 131

მიღებული ავანსები შედგება სტუდენტებისგან მიღებული ფულადი სახსრებისგან, რომელიც სწავლის საფასურის სანაცვლოდ წინასწარ არის გადახდილი.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - გაცემული სესხები

საანგარიშო პერიოდში ჯგუფს გაცემული ჰქონდა სესხი რომლის სანაცვლოდაც შემდგომ მოხდა მეკავშირე საწარმოში წილის შესყიდვა და სასესხო ვალდებულება დაიფარა მეკავშირე საწარმოს წილის სანაცვლოდ. სესხების მოძრაობა პერიოდში მოცემულია ცხრილში

	2024	2023
1 იანვარს	-	698 689
გაცემული სესხები	814 959	57 259
გაცემული სესხების დაფარვა	-	(57 475)
წილის ნასყიდობა	(825 078)	(695 793)
მიღებული პროცენტი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	7 705	-
საურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	2 414	(2 680)
31 დეკემბერი	-	-

13. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
 - (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
 - (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
 - (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
 - (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
- თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი და შვილობილი კომპანია
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:		
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2024	2023
მიღებული მომსახურება	943 755	790 926
გაწეული მომსახურება	2 500	-

ხელფასის და სხვა სარგებელი:		
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2024	2023
სახელფასო სარგო წამყვანი მენეჯმენტი	1 083 574	1 234 806
გადახდილი დივიდენდი	315 789	421 053

15. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, რაც შედეგა შემდეგისგან:

- სუბიექტის განვითარების გეგმები

შესავალი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU) თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი წარმატებული სასწავლო-სამეცნიერო და ბიზნეს სუბიექტი, რომელიც 5 სკოლის ფარგლებში 24 საგანმანათლებლო პროგრამას აერთიანებს. უნივერსიტეტი თავისი საზოგადოებრივი მისიიდან გამომდინარე, თავისი საქმიანობით მუდმივად მზადაა იყოს ერთგული იმ ღირებულებებისა და ამოცანების, რომელიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე.

შესაბამისად, უნივერსიტეტის განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული მაგისტრალი სწორედ GAU-ს სკოლების საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს გარეთ საქმიანობისათვის ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა და განვითარებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, GAU-ს სტრატეგიული განვითარება მოიცავს როგორც შიდა, ისე რეგიონალურ და გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში გასვლას და ორიენტირებას, შესაბამისი ბაზრებისათვის მისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროდუქტის წარმატებულ შეთავაზებას. შესაბამისად, უნივერსიტეტის საქმიანობა ზოგადად და მისი სტრატეგიული განვითარება და ლოგიკა ვითარდება, ამ საქმიანობისა და შესაბამისი გეგმების შესრულების ცენტრალიზებული მხარდაჭერის მნიშვნელობის და წილის მიზანშეწონილობით, შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით; ცენტრალურია საკითხი ინტეგრირებული მხარდაჭერის შესახებ თუ როგორ ხორციელდება მხარდაჭერა და კოორდინაცია უნივერსიტეტს, როგორც ერთიან მთელს, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის.


ამასთან, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა, ერთი მხრივ, ეფუძნება ცალკეული სკოლების პროდუქტს და აქტივობას, მათ მიღწევებს და მეორე მხრივ, ამ ყველაფერზე დაყრდნობით სცილდება სკოლების აქტივობის დიაპაზონს და მოიცავს აქტივობას, რომლებიც ორიენტირებულია იმ ტიპის მომსახურებაზე, რაც ნათლად აჩვენებს უნივერსიტეტის, როგორც ერთი მთლიანობის მისწრაფებას, მისი ინსტიტუციების მიერ მიღწეული შედეგების უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ და ზრდის უნივერსიტეტის, როგორც თანამედროვე აკადემიური დაწესებულების, დანიშნულებას და მოთხოვნილებას საზოგადოებრივი მისიის შესასრულებლად.

უნივერსიტეტის მიმდინარე სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შედგენილია 2021 წელს წარმოადგენს შვიდწლიან დოკუმენტს და მოიცავს მოიცავს ზოგად პრინციპებს, პრიორიტეტებს, მეთოდოლოგიასა და მისი განხორციელების მექანიზმებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენისას მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო ინდუსტრიის ანალიზი და ტენდენციები.

უმაღლესი განათლების მოკლე მიმოხილვა:


უმაღლესი განათლების სექტორის ერთობლივი შემოსავალი 2009-2023 წლებში 251 მლნ ლარიდან 1.1 მლრდ ლარამდე გაიზარდა. შემოსავლის ძირითად წყაროს სწავლის საფასური წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუტებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უმაღლესი განათლება საქართველოში, ძირითადად, ჯიბიდან გადახდებით (87% წილი 2023 წელს, ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემი)) ფინანსდება. სტუდენტების და შესაბამისად, ერთობლივი შემოსავლის დიდი ნაწილი საჯარო უნივერსიტეტებშია კონცენტრირებული. აქტიური სტუდენტების რაოდენობა სამივე საფეხურზე ერთად 2021 წლიდან 2025 წლამდე გაიზარდა 142 ათასიდან 187,8 ათასამდე, ხოლო ყოველწლიურმა ჩარიცხვები ამავე პერიოდში 50 ათასიდან 54 ათასამდე გაიზარდა (დიაგრამა 1)

დიაგრამა 1



მნიშვნელოვანი ინფორმაციას გვაწვდის უმაღლეს განათლებაში პროგრამების მიხედვით სტუდენტების განაწილების შედარებითი ანალიზი, სადაც შეინიშნება ორი ძირითადი ტენდენცია: ერთი მხრივ ბიზნესის, ადმინისტრაციულ და სამართლის პროგრამებზე მაღალი მოთხოვნა, მეორე მხრივ, განათლების ადმინისტრირების მხრივ შედარებით დაბალი მოთხოვნა.


დიაგრამა 2



სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრის პროცესში ყურადსაღები დეტალია უცხოელი სტუდენტების დინამიკა და ამ თვალსაზრისით, საქართველოს უმაღლესი განათლების მიმართ მზარდი ინტერესი. ბოლო ოთხ წელიწადში უცხოელი სტუდენტების რიცხვი 10 ათასიდან 37.1 ათასამდე გაიზარდა. მათი დანახარჯები 800 მილიონ ლარს აჭარბებს, საიდანაც 50% მეტი სწორედ განათლების სფეროშია კონცენტრირებული. Galt and taggart-ის პროგნოზით, 2028 წელს საქართველო პოტენციურად 48,000 უცხოელ სტუდენტს უმასპინძლებს, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის წვლილს შეიტანს.

სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრისას აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ინდუსტრიის დამახასიათებელი კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი. ანალიზმა აჩვენა, რომ ის მცირე რყევებით ხასიათდება და შეადგენს 62 %-მდე.


ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისურენოვან პროგრამებზე მოთხოვნა ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე. გაზრდილი მოთხოვნა აიხსნება იმ ფაქტორითაც, რომ აღნიშნული პროგრამები სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც განათლების მაძიებლების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამავე დროს ზრდას ხელს უწყობს საქართველოში საერთაშორისო სტუდენტების ნაკადის ტოტალური ზრდაც, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ქვეყნის მაღალი უსაფრთხოების და ცხოვრების და რენტის ხარჯების ხელმისაწვდომობით არის განპირობებული.




სწორედ, მზარდი მოთხოვნა გახდა უნივერსიტეტის გაფართოების (პროდუქტების დივერსიფიცირება) საფუძველი. ამჟამად უნივერსიტეტში ირიცხება 2700- მდე სტუდენტი.

მეცნიერება:


უნივერსიტეტს კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილი აქვს, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ავთენტური და რელევანტური განათლების ხელმისაწვდომობაზე, განათლების თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტმა მოიკვლია და შეაფასა კვლევასთან დაკავშირებული გარე ობიექტური ფაქტორები, შიდა საუნივერსიტეტო გარემო, რომელთა საფუძველზეც კვლევის მხარდაჭერა და განვითარება განსაზღვრა მის ერთ-ერთ პრიორიტეტად. კვლევების მიმართულებით გარე ფაქტორების შესწავლამ ზოგადად წარმოაჩინა, რომ ღარიბი ეკონომიკის ქვეყნები მოკლებული არიან შესაძლებლობას განახორციელონ მსხვილი ინვესტიციები მეცნიერებაში, განსაკუთრებით კი, ფუნდამენტურ დისციპლინებში. სამწუხაროდ, საქართველო ამ თვალსაზრისით არ არის გამონაკლისი, რომლის მაჩვენებელიც 0.25%-ს შეადგენს და 90-ე ადგილს იკავებს.



მცირე ეკონომიკასთან ერთად, მეცნიერების განვითარებისთვის არახელსაყრელ წინაპირობას ქმნის სახელმწიფო პოლიტიკა. კერძოდ, სახელმწიფოს ბიუჯეტით განსაზღვრული რესურსები მეცნიერების მხარდაჭერისთვის და ამავდროულად, მათი განაწილების უთანაბრობა კერძო და საჯარო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს შორის. „დიაგრამა 4“ ასახავს სახელმწიფო ფინანსების დინამიკას მეცნიერებაში, რომელიც ბოლო წლებში არ ხასიათდება მზარდი ტენდენციით (მიუხედავად მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდისა) და წლიურად ის საშუალოდ 65 მილიონს შეადგენს. *




კვლევითი პოტენციალის, მისი შედეგების, საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებულობის, საზოგადოებრივი ამოცანებისადმი მხარდაჭერის მიმართულებით უნივერსიტეტისათვის საინტერესო იყო კვლევის კომერციალიზაციის საკითხები და კერძო ეკონომიკური აგენტების კვლევასთან დამოკიდებულების შესწავლა. შესაბამისად, ნიშანდობლივია ბიზნეს სუბიექტების პასიურობა საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების თვალსაზრისით. იუნესკოს ინსტიტუტის მონაცემთა ბაზების მიხედვით (UIS), საქართველოში მეცნიერების დაფინანსების ძირითად წყაროს მხოლოდ სახელმწიფო და უნივერსიტეტები წარმოადგენენ (დიაგრამა 6). * ქვეყნის მცირე ეკონომიკა, სახელმწიფო ბიუჯეტის არათანაბარი განაწილება და ბიზნესის სექტორის პასიურობა, საქართველოში მეცნიერების განვითარებისთვის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, კვლევების კომერციალიზაცია და საჭირო ფინანსების მოზიდვა ბიზნესის სექტორიდან, კიდევ უფრო რელევანტური ხდება.



შესაბამისად, უნივერსიტეტმა თავის სტრატეგიულ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კვლევის კომერციალიზაციის და ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობის გაფართოების საკითხებს.

რასაკვირველია, კვლევითი პრიორიტეტის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულ იქნა სამეცნიერო სფეროში არსებული ზოგადი სურათი. კერძოდ, არასაკმარისი ფინანსები ამ სფეროში ნეგატიურ სტიმულს წარმოადგენს არსებული და პოტენციური მკვლევარებისთვის, თავიანთი ცოდნა და უნარები მოახმარონ მეცნიერებას. 2023 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 13,114 მკვლევარია რეგისტრირებული. ** იმის გათვალისწინებით, რომ ამავე წელს მეცნიერებაში 202 მილიონ ლარამდე რესურსი აკუმულირდა, რაც უხეშო გათვლებით 15,422 ლარამდე დოვლათს ნიშნავს საშუალოდ ერთი მკვლევარისთვის. რასაკვირველია, არსებული ფინანსური მდგომარეობა და შესაძლებლობები, ნაკლებად მიმზიდველს ხდის ამ სივრცეს. შესაბამისად, 1 მილიონ მოსახლეზე მკვლევარების რიცხვიც (in full time equivalent) ამაზე მეტყველებს (დიაგრამა 6).

დიაგრამა 7



ზემოთ აღნიშნული მოკლე შეფასების და კონკრეტული გარემოებების ანალიზის შედეგად, უნივერსიტეტმა კვლევითი მიმართულების პრიორიტეტად საბოლოო ჯამში დასახა კვლევითი გარემოს გაფართოება და მხარდაჭერა. შესაბამისად, სამოქმედო მიზნად და ამოცანად იქნა დასახული, ერთი მხრივ თანამედროვეობის მოთხოვნების და საზოგადოებრივი საჭიროებების, მეორე მხრივ ქვეყანაში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების და მხარდაჭერის არსებული არათანაბრობის რეალობიდან გამომდინარე, სასურველ შედეგებამდე მიიყვანოს კვლევითი საქმიანობის მოდერნიზაცია, ადეკვატური და შედეგიანი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის ჩამოყალიბების მხარდაჭერისა და წარმოების გზით. ინსტიტუტმა ერთი მხრივ, შიდა და გარე რესურსის მობილიზების გზით ყველანაირად შეუწყობს ხელს არსებული რეალობის ფარგლებში განახორციელოს მისი მისწრაფება აწარმოოს ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, რომლითაც წვლილს შეიტანს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებაში. მეორე მხრივ, მოახდენს ამ ტიპის საქმიანობის და მისი შედეგების ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში, რითაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მას როგორც ახალგაზრდობის, ისე სხვა სოციო-ეკონომიკური აგენტებისათვის.

პრიორიტეტები და სტრატეგიული მიზნები:

საგანმანათლებლო სივრცეში არსებული დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე, GAU წინამდებარე სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, მომდევნო შვიდწლიან პერიოდში, მიზნად ისახავს კონცენტრირება მოახდინოს შემდეგ სტრატეგიულ პრიორიტეტებზე:

1. პრიორიტეტი - ხარისხიანი და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობა

სტრატეგიული გეგმის სამოქმედო პერიოდში უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად დარჩება გამოიყენოს არსებული, შეიმუშაოს და დანერგოს სწავლების ისეთი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის უნარების გამომუშავებას, რამაც სტუდენტს საშუალება უნდა მისცეს მიიღოს თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის ცოდნა, უნარები და შესაბამისი ღირებულებები, ადეკვატური პროფესიული გამბედაობა.

ამ მიმართულებამ უნდა მოიცვას: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება; საგანმანათლებლო პროგრამების არქიტექტონიკა და შინაარსი; სწავლის შედეგების მიღწევადობა, შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა, და სხვა.

სტრატეგიული მიზნები:

- 2.1 საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნისა და პროფესიული გამბედაობის გამომუშავებას;
- 2.1 საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია და მათი შესაბამისობა თანამედროვე საზოგადოებრივ და საბაზრო მოთხოვნებთან;
- 2.1 საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა
- 2.1 პროფესიული უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიური სრულყოფა და გაძლიერება
- 2.1 სწავლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი
- 2.1 თანამედროვე შრომის და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი პროგრამების დამატება (საჯარო ადმინისტრირება, ტურიზმი, ეკონომიკა, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა)

2.1 სასერტიფიკატო სისტემის ოპერირება და განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების და საგანმანათლებლო სექტორის ურთიერთკავშირის რეალიზების გათვალისწინებით, ახალი პროგრამების/კურსების დამატების გზით.

2. პრიორიტეტი - კვლევითი საქმიანობა

ზემოთ აღნიშნული მოკლე შეფასებისა და კონკრეტული გარემოებების ანალიზის შედეგად, უნივერსიტეტმა კვლევითი მიმართულების პრიორიტეტად საბოლოო ჯამში დასახა კვლევითი გარემოს გაფართოება და მხარდაჭერა. შესაბამისად, სამოქმედო მიზნად და ამოცანად იქნა დასახული, ერთი მხრივ თანამედროვეობის მოთხოვნების და საზოგადოებრივი საჭიროებების, მეორე მხრივ ქვეყანაში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების და მხარდაჭერის არსებული არათანაბრობის რეალობიდან გამომდინარე, სასურველ შედეგებამდე მიიყვანოს კვლევითი საქმიანობის მოდერნიზაცია, ადეკვატური და შედეგიანი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის ჩამოყალიბების მხარდაჭერისა და წარმოების გზით. ინსტიტუცია ერთი მხრივ, შიდა და გარე რესურსის მობილიზების გზით ყველანაირად შეუწყობს ხელს არსებული რეალობის ფარგლებში განახორციელოს მისი მისწრაფება აწარმოოს ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, რომლითაც წვლილს შეიტანს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებაში. მეორე მხრივ, მოახდენს ამ ტიპის საქმიანობის და მისი შედეგების ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში, რითაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მას როგორც ახალგაზრდობის, ისე სხვა სოციო-ეკონომიკური აგენტებისათვის.

სტრატეგიული მიზნები:

2.1 საქმიანობის მხარდაჭერა და გაფართოება

2.2 სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოყენებითი მნიშვნელობის გაზრდის, კვლევის კომერციალიზაციის და გავრცელების მიზნით კონტაქტების გაზრდა კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო, სხვა არა საუნივერსიტეტო ცენტრებთან (სუბიექტებთან).

3. პრიორიტეტი - სტუდენტური ცხოვრებისა და კარიერული სერვისების ეფექტური განვითარება

უნივერსიტეტისათვის სტუდენტი მთავარი ღირებულებაა. სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერისა და მათი მომავალი კარიერისადმი მიდგომების, მათ კარიერაზე ზრუნვის მთავარი ფილოსოფია მდგომარეობს იმ გაგებასა და აღიარებაში, რომ დღევანდელმა სტუდენტმა თანამედროვეობის ხვალისდელი პრობლემები და ამოცანები უნდა გადაჭრას.

სტრატეგიული მიზნები:

3.1 უმაღლესი განათლება და დასაქმება

3.2 თვითდასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების განვითარება

3.3 სტუდენტური ადაპტაციისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების მუდმივი განვითარება და მხარდაჭერა;

4. პრიორიტეტი - ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზნები:

- 4.1 ორგანიზაციული განვითარება
- 4.2 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, ფინანსური და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება
- 4.3 ინსტიტუციონალური გაძლიერება და ადაპტაცია ახალ გამოწვევებზე
- 4.4 სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის სრული დოკუმენტი იხილეთ ბმულზე - <https://www.gau.edu.ge/ka/about/strategic-plan>

• კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;

უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული მმართველობითი გადაწყვეტილებები არსებითად ეფუძნება მაკრო და მიკრო გარემოს ანალიზს.

მაკრო დონეზე :


- ✓ შრომის ბაზრის გლობალური და ლოკალური ანალიზი - ამ ეტაპზე ხორციელდება მეორადი მონაცემების მოძიება, წყაროს ვალიდაცია, დამუშავება და მიგნებების გამოვლენა. მონაცემების მოპოვება ხდება დასაქმების პორტალებისგან. აგრეთვე, მუშავდება საქართველოს და სამიზნე ქვეყნების სტატისტიკის ეროვნული ბიუროებში განთავსებული მონაცემები.
- ✓ პოტენციური და არსებული დამსაქმებლების გამოკითხვა - საგანმანათლებლო კონტენტის რელევანტურობის და მისი თანამედროვე საბაზრო და საზოგადოებრივ რეალობასთან შესაბამისობის შემოწმების ერთ-ერთ მთავარ ტესტს სწორედ დამსაქმებლები წარმოადგენენ. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჩართულობის მექანიზმების უზრუნველყოფა და ინფორმაციის სინქრონული გაცვლის ეკოსისტემის ფორმირება. სწორედ ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ გადაწყვეტ მექანიზმს წარმოადგენს დარგის ძირითადი დამსაქმებლების პერმანენტული გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს მიღებული სიგნალების ინკორპორირება არსებულ აკადემიურ პროცესში და/ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამუშავება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების მისაწოდებლად.
- ✓ საგანმანათლებლო ბაზრის გლობალური და ლოკალური ტენდენციების იდენტიფიცირება - უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების ირგვლივ მოთხოვნა-მიწოდების ანალიზს, გლობალური თუ ლოკალური ტენდენციების გასააზრებლად.
- ✓ ლეგალური ასპექტები - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების ირგვლივ თვითშეფასების ჯგუფის პერმანენტული მუშაობა, შემდგომში მათი უნივერსიტეტის მახასიათებლებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
- ✓ ქვეყნის ეკონომიკის და დემოგრაფიის მიმოხილვა - ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული სურათის ანალიზი უმაღლესი განათლების მოთხოვნის საპროგნოზო პერიოდზე შეფასების მიზნით.

მიკრო დონეზე:

- ✓ უნივერსიტეტის როლისა და ადგილის შეფასება უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. აგრეთვე, სტრატეგიულ განვითარებასთან მიმართებაში განცხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობა.
- ✓ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის, ხარისხის უზრუნველყოფის და მართვის მექანიზმების გამოყენების ეფექტურობის ანალიზი
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების ირგვლივ კმაყოფილების შეფასება, როგორც სტუდენტებში, აგრეთვე კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებში
- ✓ უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალისა და არსებული რესურსების შეფასება
- ✓ უნივერსიტეტის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების შეფასება დაწესებულების მდგრადი, სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული სამუშაოების ეფექტიანობის ერთ-ერთ ემპირიულ დადასტურებას წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეემუშავებინა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა საერთაშორისო სტუდენტებისთვისაც. აღნიშნული პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობას ამყარებდა საერთაშორისო სტუდენტების მზარდი დინამიკა (დიაგრამა 7).

დიაგრამა 8



მიღებული გადაწყვეტილების წარმატებას ცხადყოფს მედიცინის სკოლის განვითარების ტემპები. ბოლო 6 წლის განმავლობაში ამ სკოლაში სტუდენტების რაოდენობა 20- დან 1377 -მდე გაიზარდა. რამაც სხვა

ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი იქონია უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

ამასთანავე, ჩატარებული კვლევების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების პერმანენტულმა მოდიფიკაციებმა და მათი ხარისხის სრულყოფამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სტუდენტების რაოდენობისა და ხარისხის ზრდაზე.

- აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები;

უნივერსიტეტი, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ორგანიზაცია, იყენებს ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორების კომბინაციას საქმიანობის ეფექტურობის და ეფექტიანობის შესაფასებლად. აღნიშნული ინდიკატორები ეხმარება უნივერსიტეტს გაზომოს წარმატება მისი მისიის, მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორების ის ძირითადი ნაწილი, რომლის გაანალიზება და გააზრება პერმანენტულად ხორციელდება.

დასახელება (კალენდარული წელი)	2023	2024	სხვაობა წინა წელთან შედარებით	სხვაობა პროცენტებში
ფინანსური ინდიკატორები:				
ვალი კაპიტალთან მაჩვენებელი (Debt-to-Equity Ratio):	9%	0%	-9%	-100%
შემოსავლები სწავლის საფასურიდან (Income from tution, million)	18.22	20.9	2.68	14.7%

დასახელება	2023-2024 სასწავლო წელი	2024-2025 სასწავლო წელი	სხვაობა წინა წელთან შედარებით	სხვაობა პროცენტებში
არაფინანსური ინდიკატორები				
სტუდენტთა ჩარიცხვები	682	963	281	41%
კურსდამთავრების მაჩვენებელი	61%	63%	2%	3.2%
სტუდენტთა კმაყოფილება (10 ქულიანი სკალა)	9.4	9.4	0	0
პერსონალის კმაყოფილება (10 ქულიანი სკალა)	9.5	9.45	-0.05	-0.53%
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი	95.0%	96%	1%	1.05%

ვალის კოეფიციენტის განულება უკავშირდება სასესიო ვალდებულებების სრულად დაფარვას. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტმა გაზარდა ლიკვიდურობა და შესაბამისად, მინიმუმამდე დაიყვანა ბინჟესუწყვეტობის შეფერხების ფინანსური რისკები. სხვა მაჩვენებლები სრულიად აკმაყოფილებს მდგრადი განვითარების კრიტერიუმებს.

სტუდენტთა ჩარიცხვების ზრდა 2024-2025 წლისთვის დაკავშირებული იყო ერთი მხრივ, სამიზნე ჯგუფებში GAU-ს ცნობადობის ზრდასთან და მეორე მხრივ, აკადემიური პროცესის ხარისხის სრულყოფის კვალდაკვალ განათლების მამიებლების მხრიდან მზარდი ინტერესით. საბოლოო ჯამში, როგორც ფინანსური, აგრეთვე არაფინანსური მაჩვენებლები ცხადყოფენ, რომ უნივერსიტეტი დინამიკაში მიჰყვება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული განვითარების ტემპებს. განვითარება გამოხატება როგორც რაოდენობრივ, აგრეთვე თვისებრივ მაჩვენებლებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკის ტიპი	რისკის დასახელება	რისკის დონე	მოსალოდნელი შედეგები	რისკის მართა / პრევენცია
სტრატეგიული	1. ეკონომიკური რეცესია და/ან დემოგრაფიული რისკები	საშუალო (ემპირიული მონაცემები ცხადყოფენ, რომ განათლებაზე მოთხოვნა უძლებს შიდა შოკებს)	ადგილობრივი მოთხოვნის შემცირება. უნივერსიტეტის შემოსავლების 40%-მდე მოდის ადგილობრივ სტუდენტებზე	1. საერთაშორისო პროგრამების დამატება 2. საერთაშორისო ბაზრებზე აქტიური მუშაობა 3. საერთაშორისო ბაზრებზე დივერსიფიკაცია 4. მოკლევადიანი (დაბალბიუჯეტური) პროგრამების პოპულარიზება
	2. საბაზრო კონკურენცია	მაღალი (წლიური ბაზრის სიდიდე შეადგენს 55 ათასს, რომელზეც 62 უსდ კონკურირებს).	სტუდენტების მიღების შემცირება	1. სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა 2. ინოვაციური მეთოდების დანერგვა 3. პროგრამების პერმანენტული განახლება 4. პრ-ის გაძლიერება
	3. საბაზრო ცვლილება (სტუდენტების პრეფერენციების მნიშვნელოვანი ცვლილება)	დაბალი	სტუდენტთა რაოდენობის შემცირება	1. ბაზრის ყოველწლიური ანალიზი 2. პროგრამების დივერსიფიკაცია
	4. აკადემიური პერსონალის დეფიციტი	საშუალო	უნივერსიტეტის განვითარების შეფერხება	1. კურსდამთავრებულების წახალისება და გადამზადება 2. საერთაშორისო ბაზარზე კადრების მოძიება
	5. გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია	მაღალი	სტუდენტების ნაკადის საზღვრებს გარეთ გადინება, შესაბამისად მათი რიცხვის შემცირება	1. ორმაგი და ერთობლივი პროგრამების დანერგვა. 2. უნივერსიტეტის სტანდარტების ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გათანაბრება
საოპერაციო	1. პანდემია / სხვა ინფექციური დაავადებები	საშუალო	დიდი რაოდენობით სტუდენტის და თანამშრომლის დაინფიცირება - უნივერსიტეტის მუშაობის შეფერხება	1.სამუშაო და სასწავლო პროცესის დისტანციურზე გადატანა (სრულად ან ნაწილობრივ)
	2. ხანძარი, წყალდიდობა და სხვა კატაკლიზმები	დაბალი	სასწავლო პროცესის შეფერხება/შეწყვეტა	1. უნივერსიტეტში დამონტაჟებულია სამისამართო სახანძროსაგანგაშო სისტემა 2. ყოველწლიურად ხორციელდება გეგმიური მონიტორინგი სახანძრო-საგანგაშო სისტემის გამართულ მუშაობაზე. 3. პერსონალის უსაფრთხოების მართვის სამსახური ყოველწლიურად გადის

				ტრენინგებს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით
	3. კიბერდანაშაული	მაღალი	სასწავლო პროცესის შეფერხება / პერსონალური მონაცემების დაკარგვა	1. უნივერსიტეტი თანამშრომლობს მაიკროსოფტთან, რომლის სერვერებზეც ხდება მონაცემების ბაზირება
	4. ძარცვა/ყაჩაღობა	დაბალი	სასწავლო პროცესის შეფერხება	1. უნივერსიტეტს მუდმივ რეჟიმში იცავს დაცვის სამსახური 2. უნივერსიტეტი აღჭურვილია კამერებით და სიგნალიზაციით
	5. რეგულატორის მიერ სტანდარტების შეცვლა	საშუალო	სასწავლო პროცესის შეფერხება	1. უნივერსიტეტი, როგორც ინსტიტუციურად ასევე პროგრამულად სრულიად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს 2. საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვება 3. უნივერსიტეტს ყავს ხარისხის მართვის გუნდი, რომლებიც პერმანენტულად ადევნებენ თვალს საერთაშორისო ტენდენციებს, საჭიროების შემთხვევაში სწრაფად რეაგირებისთვის
ფინანსური	1. სახელმწიფო დაფინანსების ცვლილება	დაბალი	უნივერსიტეტის შემოსავლების კლება - 15%-მდე	1. საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირება
	2. საკრედიტო რისკი	დაბალი	საოპერაციო საქმიანობის შეფერხება	1. უნივერსიტეტს აქვს გარკვეული დანაზოგი, რომელიც უზღუნველყოფს ბიზნესუწყვეტობას,
	3. სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობა	დაბალი	ოპერაციების დაფინანსების შეფერხება	1. დივერსირიკაცია 2. დანაზოგების ეფექტიანად მართა

ბიზნესუწყვეტობის და რისკების მართვის სრული დოკუმენტი იხილეთ ბმულზე - <https://www.gau.edu.ge/ka/about/regulations>

პრეზიდენტი: რ. მაიკლ ქაუგილი _____

2. ხანძარი, წყალდიდობა და სხვა კატაკლიზმები	დაბალი	სასწავლო პროცესის შეფერხება/შეწყვეტა	- უნივერსიტეტში დამონტაჟებულია სამისამართო სახანძროსაგანგაშო სისტემა - ყოველწლიურად ხორციელდება გეგმიური მონიტორინგი სახანძრო-საგანგაშო სისტემის გამართულ მუშაობაზე. - პერსონალის უსაფრთხოების მართვის სამსახური ყოველწლიურად გადის ტრენინგებს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით
3. კიბერდანაშაული	მაღალი	სასწავლო პროცესის შეფერხება / პერსონალური მონაცემების დაკარგვა	უნივერსიტეტი თანამშრომლობს მაკაროსოფთან, რომლის სერვერებზეც ხდება მონაცემების ბაზირება
4. ძარცვა/ყაჩაღობა	დაბალი	სასწავლო პროცესის შეფერხება	- უნივერსიტეტს მუდმივ რეჟიმში იცავს დაცვის სამსახური - უნივერსიტეტი აღჭურვილია კამერებით და სიგნალიზაციით
5. რეგულატორის მიერ სტანდარტების შეცვლა	საშუალო	სასწავლო პროცესის შეფერხება	- უნივერსიტეტი, როგორც ინსტიტუციურად ასევე პროგრამულად სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს - საერთაშორისო აკრედიტაციების მოპოვება - უნივერსიტეტს ყავს ხარისხის მართვის გუნდი, რომლებიც პერმანენტულად ადევნებენ თვალს საერთაშორისო ტენდენციებს, საჭიროების შემთხვევაში სწრაფად რეაგირებისთვის
ფინანსური	დაბალი	უნივერსიტეტის შემოსავლების კლება - 15%-მდე	1. საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირება
	დაბალი	საოპერაციო საქმიანობის შეფერხება	1. უნივერსიტეტს აქვს გარკვეული დანაზოგი, რომელიც უზღუნველყოფს ბიზნესეცვლებას,
	დაბალი	ოპერაციების დაფინანსების შეფერხება	1. ლიკვრირიკაცია 2. დანაზოგების ეფექტიანად მართვა

ბიზნესეცვლების და რისკების მართვის სრულყოფილი დოკუმენტი იხილეთ ბმულზე - <https://www.gau.edu.ge/ka/about/regulations>

პრეზიდენტი: რ. მაიკლ ქაუგილი

